საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 13

ქ. თბილისი 21.02 2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:
ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი ამილახვარი - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის" რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თამჯდომარის მოადგილე;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი;
სერგო ჭელიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტო პროგრამების ხელმძღვანელი;
ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი სიტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
ხათუნა თოდაძე - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ანა ფირცხალაშვილი - შპს :გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;
მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
დენიტა ბიბილეიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;
სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი;
თეა მჭედლური - საქართველოს არასამტავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

თამარ გაიხარაშვილი
ლელა სტურუა
ცოტნე სამადაშვილი
მარიამ თევზაძე
დავით სიხარულიძე
დავით ქარცივაძე
თეა კასრაძე
ანა გვრიტიშვილი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

კახა შენგელია - პრეზიდენტი;
დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
ნუგზარ სხირტლაძე - ვიცე-პრეზიდენტი;
ვახტანგ სურგულაძე - მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის დეკანი;
გიორგი მახარაშვილი - პროგრამის დირექტორი.

შპს სულხან საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ვაჟა ვარდიძე - რექტორი;
დიმირტი გეგენავა - პროორწქტორი;
ნათია შეყილაძე - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
აკაკი ცომაია - საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა. აკრედიტაციის ამავე მუხლის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა საბჭოს წევრს - ლევან გორდეზიანს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

1.შპს კავკასიის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი 0904
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტებს რათა მათ ესაუბრათ პროგრამის შეფასებისას გამოვლენილ ძირითად საკითხებზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ გაიხარაშვილმა წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ძირითადი მიგნებები, კერძოდ:

- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სამიზნე ნიშნულები, სწავლის შედეგებთან მიმართებაში და ამის შესაბამისად განახორციელოს მონიტორინგი წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად;
- სასურველია პროგრამის დასახელების გადახედვა „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა" ნაცვლად „საზოგადოებრივი ჯანდაცვისა";
- სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურის გამდიდრება და განახლება;
- პრაქტიკის სილაბუსი მოითხოვს დაზუსტებას როგორც დასახელების, ასევე შინაარსის თვალსაზრისით;
- აფილირების არსი და პირობები, მისი პრიორიტეტები უკეთესად უნდა იყოს ახსნილი აკადემიური პერსონალისთვის, რაც როგორც თავად უნივერსიტეტის ასევე პროგრამის მდგრადობას განაპირობებს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რათა მათ წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებები ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი უკვე მომზადებული ქონდათ უნივერსიტეტში და კონკრეტულად აღნიშნული პროგრამის ფარგლებშიც უკვე შემუშავდა. რაც შეეხებოდა პროგრამის სახელწოდებას, ქალბატონმა დიანამ აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელი და დეკანი ისაუბრებდნენ.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხზე მსგავსი კამათი მუდმივად მიმდინარეობს. ჯანმრთელობის მართვა რთული საკითხია, სოციალური ჯანდაცვა უფრო სწორი ტერმინია. მან აღნიშნა, რომ კვლევებიც ჩაატარეს აღნიშნულ თემაზე ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ და გაეცნენ სად რა ქვია მსგავს პროგრამებს, თუმცა მათი აზრით ჯანდაცვის პროცესის მართვა უფრო სწორი ტერმინია. დაწესებულების პრეზიდენტმა, კახა შენგელიამ აღნიშნა, რომ გამოიყენება ჯანდაცვის სამინისტრო და არა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

დაწესებულების ხარისხის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ რადგან წლების განმავლობაში აღნიშნული სახელწოდებით ხორციელდებოდა პროგრამა, უმჯობესი იყო ამ სახელწოდების შენარჩუნება. საბჭოს წევრმა, ქეთევან თოდაძემ აღნიშნა რომ საქართველოში ბევრი პროგრამა ხორციელდებოდა აღნიშნული სახელწოდებით.

დაწესებულების ხარისხის სამსახურის უფროსმა მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ლიტერატურის გამდიდრება მუდმივი პროცესი იყო და კავკასიის უნივერსიტეტში ამას დიდი ყურადღება ექცეოდა. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდნენ ექსპერტებს იმაში, რომ ლიტერატურის განახლება მუდმივად უნდა ხდებოდეს. მაგალითისთვის ახსენა, რომ ერთ-ერთი წიგნის ახალი გამოცემა შეიძინეს ცოტა ხნის წინ. თუმცა ეს კოპირაიტი იყო და გამოცემას არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. რაც შეეხებოდა რეპორტინგებს, განახლდა ყველა და დაიდო საბოლოო ვერსიები. ეს უფასო იყო ყველასთვის და წვდომაც ყველას შეიძლებოდა ჰქონოდა. მან აღნიშნა, რომ ქონდათ სია თუ რა ლიტერატურით შეივსო პროგრამა.

ასევე დასძინა, რომ რადგან ქართულენოვანი ლიტერატურა არ იყო, ამიტომ სასწავლო კურსების წინაპირობად ინგლისური ენის ცოდნას ქონდათ განსაზღვრული.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ვახტანგ სურგულაძემ ასევე აღნიშნა, რომ პრაქტიკის სილაბუსს რაც შეეხებოდა, თვლიდა, რომ დასახელება ნათელი იყო. რაც შეეხებოდა პრაქტიკის იდეას, მან ახსნა, რომ მაგისტრანტი ხშირად ამთავრებდა პროგრამას და არ იყო ნამყოფი იმ ადგილებში სადაც უნდა ემუშავა. მაგალითად ტუბერკულიოზის ცენტრში, სადაზღვევო კომპანიაში, ჯანდაცვის სამინისტროს 4 დეპარტამენტში და ა.შ. ხოლო მათ ისე ქონდათ პრაქტიკა ორგანიზებული, რომ სტუდენტები ეცნობოდნენ იმ ლიდერებს რომლებიც დარგში არსებობდნენ. მას ასევე დასძინა, რომ ეს საკითხი ასე ნათლად არ ჩანდა სილაბუსში და ახლა დააზუსტეს. იდეა იყო ის რომ მაგისტრანტი გაცნობოდა აღნიშნულ სტრუქტურებს ადგილზე და ენახა ის ცოდნა რაც მიიღო რამდენად გამოადგებოდა ამა თუ იმ ორგანიზაციაში. რაც ისწავლეს რამდენად გამოყენებადი იყო ამ კონკრეტულ სტრუქტურაში. ასევე დაამატა, რომ ქონდათ პრაქტიკის შეფასების ფორმაც. სტუდენტები 3 საათს უთმობდნენ უშუალოდ პრაქტიკის ობიექტზე ყოფნას, ხოლო შემდეგ 2 საათი უნივერსიტეტში განიხილავდნენ იმ საკითხებს რაც პრაქტიკის ობიექტზე გაიარეს.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ იკითხა თუ რაში გამოიხატებოდა პრაქტიკა. პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ მაგალითად ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოში აჩვენებენ როგორ აკონტროლებენ კლინიკების მუშაობას. რასაც უნივერსიტეტში თეორიულად ასწავლიდნენ სტუდენტებს, შემდეგ პრაქტიკის ობიექტზე ამას აჩვენებენ. საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ იკითხა, გარდა იმისა რომ ამ ყოველივეს ნახულობდნენ სტუდენტები, თვითონ თუ აკეთებდნენ რამეს. პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ მაგალითად პოლიკლინიკაში ისხდნენ და ვაქცინაციის რუკას ავსებენ თვითონ სტუდენტები.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა იკითხა თუ რატომ გაჩნდა კითხვა აფილირებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, კახა შენგელიამ აღნიშნა, რომ მათ შემუშავებული ჰქონდათ აფილირების წესი და ყველა აფილირებული პროფესორი სრულ განაკვეთზე იყო დასაქმებული უნივერსიტეტში და ვალდებული იყო ემუშავა სტუდენტებთან, განეხორციელებინა კვლევა, საკონსულტაციო მომსახურება გაეწია სტუდენტებისთვის და ემუშავა ადმინისტრაციაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ გაიხარაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დარჩა შთაბეჭდილება რომ თავად პროფესორებს არ ჰქონდათ გაცნობიერებული აღნიშნული წესი.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ ცოტა კურსდამთავრებული ჰყავდათ და იკითხა თუ იცოდნენ აღნიშნულის მიზეზი. უნივერსიტეტის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მათი ამოცანა არ იყო შემოსავლის მიღება არამედ მთავარი იყო სფეროს განვითარება და სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიცემა. აკადემიური მოთხოვნა იყო მაღალი და ამიტომ ვერ ამთავრებენ განსაზღვრულ დროში.

პროგრამის ხელმძღვანელმა დაამატა, რომ ყველა სტუდენტი მუშაობდა საშუალო დონის მენეჯმენტში და ამიტომ უჭირდათ სემესტრში 5 საგნის აღება. ხარისხის სამსახურის უფროსმა

აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მუდმივად ხდებოდა აღნიშნული საკითხის კონტროლი და მიზეზების გამოვლენა.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტთა კვლევით საქმიანობაში ჩართვის მაჩვენებელი იყო 0. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ვერ დაავალდებულებდნენ სტუდენტს კვლევაში ჩართვას. ისინი მუშაობდნენ რომ სწავლის საფასური გადაეხადათ. შესაბამისად, დრო არ რჩებოდათ კვლევისთვის. თუმცა, სტუდენტთა დასაინტერესებლად ქონდათ მოლაპარაკება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალთან. გეგმავდნენ კონფერენციების გამართვას და იქ გამარჯვებული დაიბეჭდება აღნიშნულ ჟურნალში.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ 30 კრედიტი ჰქონდა დათმობილი კვლევით კომპონენტს, აქედან 18 სამაგისტრო ნაშრომს ეთმობოდა და იკითხა დანარჩენი. 12 კრედიტი რა კომპონენტს ეთმობოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს იყო თვისებრივი (6) და რაოდენობრივი კვლევის (6) მეთოდები, ჯამში 12 კრედიტი. დაწესებულების ხარისხის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ კვლევით კომპონენტს ეთმობოდა მხოლოდ 18 კრედიტი.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამას აკრედიტაციის ვადა გაუვიდა 2019 წლის 10 თებერვალს. საბჭო უფლებამოსილი იყო აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, განესაზღვრა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების და პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იყო საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2019 წლის 10 თებერვლიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 10 თებერვლიდან.

დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 6 თვე.

2. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 02
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტებს რათა მათ ესაუბრათ პროგრამის შეფასებისას გამოვლენილ ძირითად საკითხებზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა ვიზიტი. პროგრამა შეესაბამებოდა ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა ორ კომპონენტთან მიმართებით პროგრამა შეფასებული იყო როგორც მეტწილად შესაბამისი. მიცემული რეკომენდაციები გამომდინარეობდნენ პროგრამის ლოგიკიდან. პროგრამის სავალდებულო სასწავლო ბლოკში უნდა დამატებოდა სასწავლო კურსები - კვლევის მეთოდები ბიზნესში და ოპერაციათა მენეჯმენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

პროგრამის ხელმძღვანელმა, აკაკი ცომაიამ აღნიშნა, რომ ისინი ასწავლიდნენ რაოდენობრივ მეთოდებს და არა ყველა მეთოდს. მისი აზრით არ იყო აუცილებელი კვლევის მეთოდების

სასწავლო კურსის დამატება პროგრამაში, რადგან ისინი არ ზრდიდნენ დამოუკიდებელ მკვლევარს. რაც შეეხებოდა მეორე რეკომენდაციას - ოპერაციათა მენეჯმენტს, მან აღნიშნა რომ აღნიშნული საგნის თემები ასახული იყო სხვადასხვა სასწავლო კურსში. თუმცა ეთანხმებოდნენ ექსპერტთა ჯგუფს და მზად იყვნენ დაემატებინათ ეს სასწავლო კურსი.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ რადგან პროგრამას პირობითი აკრედიტაცია ქონდა მინიჭებული და ახლა მეორედ ფასდებოდა, მას აინტერესებდა თუ როგორ იქნა შესრულებული პირველი შეფასებისას მიღებული რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა პირველ რიგში შეამოწმა რამდენად იყო შესრულებული ის რეკომენდაციები რაც წინა წელს გაიცა. ერთ-ერთი ექსპერტი თავად იყო წინა წელსაც. დაწესებულებას ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული ჰქონდა კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის დამატების თუმცა ექსპერტებს ისიც ესმოდათ, რომ დაწესებულებას ქონდა თავისი არგუმენტები, თუ რატომ არ მიიჩნევდნენ საჭიროდ აღნიშნული სასწავლო კურსის დამატებას, თუმცა ექსპერტები თავიანთ აზრზე რჩებოდნენ.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ამილახვარმა იკითხა თუ შეამოწმეს აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნა, რადგან პროგრამა ინგლისურენოვანი იყო.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შეამოწმეს. სამი უცხოელი ლექტორი ყავდათ და ისინი ფლობენ ინგლისურს. ასევე ორი ქართველი იყო, რომელთაც ინგლისურად გაესაუბრნენ და ისინიც ფლობენ უცხო ენას. რაც შეეხებოდა სტუდენტებს, მხოლოდ ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებთან მოახერხეს გასაუბრება, რადგან უცხოელ სტუდენტებთან ვერ მოხერხდა მათთან გასაუბრება. სულ 5 უცხოელი სტუდენტი ყავთ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ ნიგერიიდან იყვნენ სტუდენტები. სამ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი რადგან არ ჩართულა პროგრამაში. ორი სტუდენტი კი იმ პერსიოდში არდადეგები იყო და არ იმყოფებოდნენ საქართველოში. ზოგადად ისინი ელოდებოდნენ სტუდენტებს არა მარტო აფრიკიდან, არამედ ევროპიდანაც. თუმცა, რადგან პირობითი აკრედიტაცია ჰქონდათ მინიჭებული არ მოიზიდეს სტუდენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა იკითხა პროგრამის სამიზნე ჯგუფი იყო ინგლისურენოვანი უცხოელი კონტიგენტი თუ საქართველოს მოქალაქეები. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუგო, რომ ორივე კონტიგენტზე იყო გათვლილი პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ ბიზნესის სამართლის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია ქართველი ავტორის სახელმძღვანელო, Introduction to the Georgian Business Law (text-book), Chechelashvili Zurab, Tbilisi, 2013, რაც გარკვეულწილად მოძველებულია. იმის გათვალისწინებით, რომ მისაღები კონტიგენტი კარგად ფლობს ინგლისურს, ვფიქრობ უკეთესი იქნებოდა სავალდებულო სახელმძღვანელოდ წარმოდგენილი ყოფილიყო ბიზნესის სამართლის შედარებით ახალი სახელმძღვანელო. გარდა ამისა, სავალდებულო ლიტერატურად ასევე მითითებულია საქართველოს კანონმდებლობა (მაგ.: Labor Code of Georgia (N4113-RS, 17 Dec. 2010), Articles: 1-9, 14, 21, 31-33, 36-37; General

Administrative Code of Georgia (26 June, 1999), Articles: 1-15; Tax Code of Georgia (17 Sep. 2010, N3591), Articles: 1, 2, 5 – 7. და სხვა) შესაბამისად, საინტერესოა, არის თუ არა ეს მასალა რელევანტური უცხოელი სტუდენტისთვის? აქვე აღსანიშნავია რომ რომ სხვა სილაბუსებში როგორც სავალდებულო ისე დამხმარე ლიტერატურად (მაგ.: ინვესტიციების საფუძვლები, მეწარმეობა და სხვა) მითითებულია უცხოელი ავტორების სახელმძღვანელოები, რატომაა გამონაკლისი ბიზნესის სამართლის სასწავლო კურსი?

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანი იყო უცხოელების ინტეგრაცია საქართველოში, ამიტომ ბიზნესის სამართალში ასწავლიდნენ საქართველოს კანონმდებლობას. დაწესებულების წარმომადგენელმა, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ ამ საკითხზე ბევრი იფიქრეს, მაგრამ საერთაშორისო ბიზნეს სამართალს ვერ ასწავლიდნენ, რადგან სტუდენტები არ იყვნენ სამართლის დარგის სპეციალისტები. შესაბამისად, ქართულზე შეჯერდნენ, თუმცა მარტო ქართულიც არ იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბიზნესის სამართლის სილაბუსი შინაარსობლივადაც სუსტად იყო აგებული და უმჯობესი იქნებოდა სალექციო კურსში მეტი ყურადღება გამახვილებულიყო საერთაშორისო კონტრაქტებზე და მათ სამართლებრივ რეგულირებაზე, შრომით ურთიერთობებსა და გადახდისუუნარობის მნიშვნელოვან საკითხებზე, ანუ იმ საკითხებზე, რაც ზოგადად ბიზნესის სამართლის, როგორც სასწავლო კურსის, განუყოფელი ნაწილი იყო, კლასიკური გაგებით, მიუხედავად იმისა, სამართლის სპეციალობის სტუდენტებს ეკითხებათ ეს კურსი თუ ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის სტუდენტებს. ასევე, სრულიად წარმოუდგენელია ერთ აკადემიურ საათში სტუდენტს წაუკითხო ლექცია სახელწოდებით - ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი (მე-10 ლექციის თემა) ან სგადასახადო სამართალი (მე-11 ლექციის თემა), ამიტომ სილაბუსი გადასამუშავებელი იყო შონაარსობლივად, დასახვეწი და დასაკონკრეტებელი იყო სალექციო თემატიკა.

17:30 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 17:35 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამას აკრედიტაციის ვადა გაუვიდა 2019 წლის 12 იანვარს. საბჭო უფლებამოსილი იყო აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, განესაზღვრა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების და პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იყო საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2019 წლის 12 იანვრიდან.

ასევე, საბჭოს მოსაზრებით, პროგრამა მეტწილად შეესაბამებოდა მეორე სტანდარტის მოთხოვნებს, რადგან რამდენიმე სასწავლო კურსთან მიმართებით საბჭომ მისცა რეკომენდაციები დაწესებულებას.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 12 იანვრიდან.

დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 6 თვე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ 17:45 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ქეთევან ქოქრაშვილი

მდივანი
ლევან გორდეზიანი